სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

41125512318313

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130504998

რეგისტრაციის თარიღი

23.05.2013 წ

ნოტარიუსი: მედეა დემეტრაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, გლდანის 1 მიკრორაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორია, მე-2 სართული
ტელეფონი: (+995)597323 000; 2-57-55-50

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ცამეტი წლის ოცდასამ მაისს მე, **მედეა დემეტრაშვილს**, საქართველოს ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გლდანის პირველი მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიის მე-2 სართულზე მომმართა **კახაბერ დვალიშვილმა** (დაბ. 23.06.1968წ, **რეგისტრირებული: თბილისი მმ.კაკაბაძეების ქ. N 20, პ/№01017016465**, გაც: 28.06.1999წ, ტელ: 599 15 44 22), როგორც შპს "დილეო"-ს (ს/კ 200267692) *დირექტორმა, თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის თარიღი B12091105, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 17.04.2000წ),* რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე **კახაბერ დვალიშვილის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **კახაბერ დვალიშვილმა** (დაბ. 23.06.1968წ, **რეგისტრირებული: თბილისი მმ.კაკაბაძეების ქ. N 20, პ/№01017016465**, გაც: 28.06.1999წ) მომმართა. მე დავადგინე მოქალაქის ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი. **კახაბერ დვალიშვილმა** პირადად წაიკითხა ეს მინდობილობა, მოიწონა და განაცხადა, რომ იგი სრულად შეესაბამება მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

მე, კახაბერ დვალიშვილი (დაბ. 23.06.1968წ, **რეგისტრირებული: თბილისი მმ.კაკაბაძეების ქ. N 20, პ/№01017016465**, გაც: 28.06.1999წ) როგორც შპს "დილეო"-ს (ს/კ 200267692) *დირექტორი,* **ვენდობი** *კარლო მშვიდობაძეს* (დაბ. 15.08.1988წ, პირადი № 62001038592, გაც. 09.02.2011წ)მასზედ, რომ იყოს ჩემი წარმომადგენელი და ინტერესების დამცველი ყველა კომპეტენტურ ორგანიზაცია-დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მერიის სამსახურებში, კერძოდ: არქიტექტურის სამსახურსა და ზედამხედველობის სამსახურში, შეასრულოს შპს "დილეო"-ს (ს/კ 200267692) **საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ყველა სახის საპროექტო სამუშაოები,** წარადგინოს და გამოითხოვოს ყველა სახის დოკუმენტი, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად და შეასრულოს ყველა ფორმალობა და კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი პროცედურა, რაც საჭირო იქნება მინიჭებული უფლებამოსილების შესრულებასთან.

ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები, მთლიანად ან ნაწილობრივ არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს.

მარწმუნებელს განემარტა მისი შინაარსი, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა.

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით და ძალაშია 2015 წლის 23 (ოცდასამი) მაისის ჩათვლით.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები) 31–ე მუხლის მეშვიდე პუნქტისა და 39–ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გადახდილია სანოტარო საზღაური: 10 (ათი) ლარი, ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2 (ორი) ლარი. (დღგ-ს გარეშე)

კახაბერ დვალიშვილი ———————————

ნოტარიუსი: /მ. დემეტრაშვილი/